# გორის მუნიციპალიტეტის
# საკრებულოს
# განკარგულება № 79

2020 წლის 10 ივლისი
ქალაქი გორი

## „გორის მუნიციპალიტეტის სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 ივლისის №127 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ათეულობით ორგანიზაცია მუშაობს, რომელთა საქმიანობაც მიმართულია სოციალური სახის პროექტების განხორციელებისკენ, იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა პრობლემების გადაჭრას და შემდგომში ამ პრობლემების წარმოქმნის თავიდან არიდებას. „ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების“ განვითარება მუნიციპალიტეტში არსებული სირთულეების გადალახვის ერთერთი ეფექტიანი მიდგომაა, რომლითაც შესაძლებელია პრობლემების მოგვარება და კომპლექსური შედეგის მიღწევა. გორის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები აანალიზებენ შექმნილ ვითარებას და ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიიჩნევენ მუნიციპალიტეტში მოქმედი ორგანიზაციების თანადაფინანსებით, უზრუნველყონ ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარება. მსგავსი მიდგომა შესაძლებელს გახდის მაქსიმალურად ბევრი, მოწყვლად ჯგუფს მიკუთვნებული ადამიანის პრობლემის გადაჭრა-მოგვარებას და/ან პრევენციას, ეს ყოველივე კი ხელს შეუწყობს სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, „გორის მუნიციპალიტეტის სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 ივლისის №127 განკარგულებით დამტკიცდა გორის მუნიციპალიტეტის სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამა, თუმცა, დღეის მდგომარეობით აღნიშნული პროგრამა საჭიროებს რიგ ცვლილებებს, კერძოდ, მიმდინარე წელს ქვეყანაში და კერძოდ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, როგორც მერიის ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების პრევენციულ ღონიზძიებებში მონაწილეობა. რიგ შემთხვევებში „სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამით" მოსარგებლე არასამთავრობო ორგანიზაციები თანადაფინანსების წესის მიხედვით დადგენილი შეზღუდვებიდან გამომდინარე ვერ ახერხებენ საჭირო დროს (2020 წლის 30 მაისის ჩათვლით) განაცხადის (პროექტის) შემოტანას მერიაში, თანადაფინანსების მისაღებად. ზემოთაღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურმა შეფერხების გარეშე შეძლოს საჭირო დროს განახორციელოს პრევენციული ღონიზძიებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ხელი შეუწყოს ისეთ ორგანიზაციებს თანადაფინანსების სახით, რომლებიც თავისი პროექტების განხორციელებით ხელს უწყობენ გორის მუნიციპალიტეტის ფარგლებში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, გორის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო

მიზანშეწონილად მიიჩნევს, შევიდეს ცვლილება სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამაში და პროექტანტის მიერ მერიაში პროექტის წარმოდგენის ვადები განისაზღვროს ახალი რედაქციით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „გორის მუნიციპალიტეტის სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 ივლისის №127 განკარგულებით დამტკიცებული დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართი №1-ით (თან ერთვის 8 ფურცლად).
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

დანართი №1

# გორის მუნიციპალიტეტის

# სოციალური პროექტების თანადაფინანსების

*პროგრამა*

1. პროგრამის სახელწოდება „გორის მუნიციპალიტეტის სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამა“.
2. პროგრამის განხორციელების არეალია: გორის მუნიციპალიტეტი
3. პროგრამა იმოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით- 06 05 11
5. პროგრამის დაფინანსების ძირითადი წყაროა გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
6. პრობლემის აღწერა, მისი აქტუალობის დასაბუთება:
   იმის მიუხედავად, რომ გორის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის პროგრამები მიმართულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური პრობლემების მოგვარებაზე, მუნიციპალიტეტში მაინც ბევრი გამოწვევაა რაც სტრატეგიულ მიდგომას საჭიროებს.
   „ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების“ განვითარება მუნიციპალიტეტში არსებული სირთულეების გადალახვის ერთერთი ეფექტიანი მიდგომაა, რომლითაც შესაძლებელია პრობლემების მოგვარება და კომპლექსური შედეგის მიღწევა. გორის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები აანალიზებენ შექმნილ ვითარებას და ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიიჩნევენ მუნიციპალიტეტში მოქმედი ორგანიზაციების თანადაფინანსებით, უზრუნველყონ ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარება. მსგავსი მიდგომა შესაძლებელს გახდის მაქსიმალურად ბევრი, მოწყვლად ჯგუფს მიკუთვნებული ადამიანის პრობლემის გადაჭრა-მოგვარებას და/ან პრევენციას, ეს ყოველივე კი ხელს შეუწყობს სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

7. პროგრამის სამიზნე ჯგუფი, მიზანი და ამოცანები:

   ა) პროგრამის სამიზნე ჯგუფი:
   პროგრამის სამიზნე მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სერვისიდან გამსვლელი, სოციალურად დაუცველი და ობოლი ბავშვები, ახალგაზრდები, მოხუცები, მარტოხელა მშობლები, ქვრივები, მრავალშვილიანი ოჯახები, დევნილი, ძალადობის მსხვერპლი, ვეტერანი, კანონთან კონფლიქტში მყოფი, ნარკოდამოკიდებული, უსახლკარო და განსაკუთრებული საჭიროების მქონე სხვა პირები.

   ბ)პროგრამის მიზნია:
   გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პროგრამის სამიზნე ჯგუფს მიკუთვნებული მოსახლეობის უზრუნველყოფა მათ საჭიროებაზე მორგებული, მრავალფეროვანი ჯანდაცვისა და სოციალური სერვისებით, კეთილსაიმედო გარემოს შექმნით და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიმართული პროექტებით.

გ) პროგრამის ამოცანებია:

პროგრამის სამიზნე ჯგუფებისათვის სასიცოცხლო და დამხმარე სერვისების უზრუნველყოფა შემდეგი მიმართულებით:
გ.ა. დღის ცენტრების, შინმოვლის და მსგავსი მოდელების სერვისების განვითარება და ახალი სერვისების დანერგვა;
გ.ბ.ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;
გ.გ. ადაპტირებული და ინკლუზიური სოციალური გარემოს შექმნა;
გ.დ. სოციალური უნარების განვითარება;
გ.ე. დასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარება;
გ.ვ. ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა;
გ.ზ. საზოგადოებაში ინტეგრაციის და რესოციალიზაციის ხელშეწყობა.

**8.** პროგრამის ორგანიზება და განხორციელების პირობები:
ა) პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელია გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური;
ბ) თანადაფინანსების მოპოვებისათვის განაცხადების მიღებას ახორციელებს გორის მუნიციპალიტეტის მერია;
გ) თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადების განხილვა, შეფასება მოხდება მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის წევრთა მიერ;
დ) მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი შერჩეულ პროექტებს წარუდგენს მერს დასამტკიცებლად.

**9.** თანადაფინანსების მოპოვებისათვის განაცხადების მიღების წესი და მოსარგებლეთა კატეგორია.
ა) თანადაფინანსების მოპოვებისათვის განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ორგანიზაციის ან და მისი უფლებამოსილი პირის მიერ ქართულ ენაზე შევსებული განაცხადის (განაცხადის ფორმის ელ. ვერსია ხელმისაწვდომია www.gori.gov.ge) წარდგენით გორის მუნიციპალიტეტის კანცელარიაში. განაცხადი უნდა იყოს შევსებული ბეჭდური სახით, შემდეგი ფორმით:

| ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ | |
|---|---|
| ორგანიზაციის დასახელება და სამართლებრივი ფორმა: | |
| ორგანიზაციის რეგისტრაციის ნომერი (რეგისტრაციის შემთხვევაში) | |
| რეგისტრაციის თარიღი: | |
| იურიდიული მისამართი: | |
| ფაქტიური მისამართი: | |
| ორგანიზაციის ხელმძღვანელის სახელი და გვარი: | |
| საკონტაქტო ელ.ფოსტა: | |
| საკონტაქტო პირის სახელი და გვარი: | |

| პროექტის დასახელება: | |
|---|---|
| პროექტის დაწყების და დასრულების თარიღი: | |
| პროექტის განხორციელების არეალი: | |
| პროექტის ჯამური ღირებულება: | |
| ორგანიზაციის წილი: | |
| თანადაფინანსების პროგრამიდან მოთხოვნილი თანხა: | |

| მოკლედ აღწერეთ ორგანიზაციის გამოცდილება წარმოდგენილ პროექტთან მიმართებაში |
|---|
| *(არაუმეტეს 200 სიტყვისა).* |

| პრობლემის დასაბუთება |
|---|
| აღწერეთ პრობლემა და დაასაბუთეთ აღნიშნული პროექტის საჭიროება თემში. აღწერეთ ბენეფიციარები და მათი საჭიროებები *(არაუმეტეს 500 სიტყვისა).* |

| პროექტის მიზანი/ები და ამოცანები: |
|---|
| რის მიღწევას ცდილობთ თქვენი პროექტით და რა ცვლილებებს ელოდებით თემში პროექტის განხორციელების შემდეგ? (თქვენი მიზნები და ამოცანები ნათლად უნდა შეესაბამებოდეს თანადაფინანსების პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს) |

| მოკლედ ჩამოაყალიბეთ პროექტის იდეა და მიუთითეთ კონკრეტული საქმიანობები:<br><br>*(არაუმეტეს 500 სიტყვისა)* |
|---|
| საქმიანობა/აქტივობა 1: |
| საქმიანობა/აქტივობა 2: |
| საქმიანობა/აქტივობა 3: |
| საქმიანობა/აქტივობა 4:<br><br>პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე დაამატეთ ველი |

| პროექტის მყისიერი და გრძელვადიანი შედეგები |
|---|
| ჩამოაყალიბეთ როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მაჩვენებლებით. |

| პროექტის სიცოცხლისუნარიანობა (განვითარების გეგმა) |
|---|
| როგორ აპირებთ მიღწეული შედეგების შენარჩუნებას პროექტის დასრულების შემდეგ? როგორ წარმოგიდგენიათ მისი გაგრძელება? დაინერგება თუ არა ის, როგორც მუნიციპალიტეტში სოციალური სერვისი? |

| ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა |
|---|
| მოკლეთ აღწერეთ, როგორ მოახდენთ ბენეფიციართა შორის გორის მუნიციპალიტეტის, როგორც პროექტის თანადამფინანსებლის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას |

| პროექტის საქმიანობის და დროის განრიგი: | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თვე | | | | | | | | |
| | საქმიანობის დასახელება | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX-XI |
| 1 | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | | | |
| 6 | | | | | | | | | | |
| 7 | | | | | | | | | | |
| | პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე დაამატეთ ველი | | | | | | | | | |

| | ბიუჯეტი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ბიუჯეტი ქმედებების შესაბამისად | ერთეულის ღირებულება | ერთეულის რაოდენობა | ერთეულის ტიპი | მუნიციპალიტეტიდან მოთხოვილი თანხა | თქვენი წილი | ჯამი |
| 1 | ხელფასი | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| | | | | | | |
| ტრანსპორტირება | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე დაამატეთ ველი | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| სულ ჯამი: | | | | | | |

ა.ბ განაცხადის მიღების ვადები:
ა.ბ.ა. არა უგვიანეს 2020 წლის 30 ნოემბრისა;
ა.ბ.ბ. არაუგვიანეს 2020 წლის 30 სექტემბრისა.

ბ) განაცხადის განხილვა მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება არა უგვიანეს 2020 წლის 30 ნოემბრს შემოტანილ განცხადებებზე განაცხადის მიღების საბოლოო ვადის დასრულებიდან 1 თვის (2020 წლის 30 ნოემრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე) ვადაში, ხოლო ხოლო არაუგვიანეს 2021 წლის 30 სექტემბერს შემოტანილ განცხადებებზე წერილობით განაცხადის მიღებიდან 1 თვის ვადაში.

გ) გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება და პასუხი განმცხადებელ პირს ეცნობება განაცხადის მიღებიდან 1 თვის ვადაში.

დ) პროგრამით მოსარგებლე (მომხმარებელი) შეიძლება იყოს ნებისმიერი იურიდიული პირი, რომელიც შემოთავაზებული პროექტით მოემსახურება გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ და რეგისტრირებულ სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფს მიკუთვნებულ ადამიანებს და უზრუნველყოფს შემოთავაზებული პროექტის თანადაფინანსებას საკუთარი ან/და დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული ფინანსური რესურსით. შემოთავაზებული პროექტი უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის მიზნების და ამოცანების შესრულებას.

**10.** წარმოდგენილი პროექტის განხილვა, შეფასება, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და უფლებამოსილება:

ა.წარმოდგენილი პროექტების განხილვა ხდება მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის მიერ რომლის შემადგენლობას ამტკიცებს გორის მუნიციპალიტეტის მერი, შესაბამისი ბრძანებით.

ბ. მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი შედგება არა უმეტეს 9 წევრისაგან;

გ. მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის მუშაობას ხელმძღვანელობს სამუშაო ჯგუფის უფროსი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, ჯგუფის უფროსის მოადგილე.

დ. მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა“ და წინამდებარე პროგრამით.

ე.მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სამუშაო ჯგუფის წევრთა ორი მესამედი.

ვ. მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის წევრს არ აქვს უფლება თანადაფინანსების პროგრამაში დაფინანსების მოპოვების მიზნით წარადგინოს პროექტი.

ზ.მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის მუშაობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე და ჯგუფის ყველა დამსწრე წევრი.

თ. მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ წარმოდგენილ პროექტებს და შეფასებისას ხელმძღვანელობს განაცხადის შეფასების წინასწარ გაწერილი კრიტერიუმებით, შემდეგი 10 ქულიანი სისტემით:

| ქულა | შეფასება | განმარტება |
|---|---|---|
| 0 | ცუდი | პროექტი არ პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, ან პროექტი ვერ ფასდება არასაკმარისი ინფორმაციის გამო |
| 1-2 | სუსტი | პროექტი არაადეკვატურად პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, შეინიშნება სერიოზული არსებითი სუსტი მხარეები. |
| 3-4 | საშუალო | პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი სუსტი მხარეები, სუსტად დასაბუთებული და არადამაკმაყოფილებელი ხარისხისაა. |
| 5-6 | კარგი | პროექტი კარგად პასუხობს კრიტერიუმს, დასაბუთებულია დამაკმაყოფილებელი ხარისხით, მაგრამ აუცილებელია გარკვეული გაუმჯობესება. |
| 7-8 | ძალიან კარგი | პროექტი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს. იკვეთება ორიგინალობა და უპირატესობა, მაგრამ შესაძლებელია გარკვეული დახვეწა. |
| 9-10 | საუკეთესო | გამორჩეული, მაღალი აქტუალობის მქონე პროექტია, რომელიც წარმატებით პასუხობს ყველა კრიტერიუმს. ნებისმიერი ხარვეზი არის არსებითად უმნიშვნელო. |

ი. განაცხადის შეფასების კრიტერიუმები:

| კრიტერიუმები და განმარტებები | ცუდი | სუსტი | საშუალო | კარგი | ძალიან კარგი | საუკეთესო | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 0 | 1-2 | 3-4 | 5-6 | 7-8 | 9-10 | |
| 1. წარმოდგენილი განაცხადის ტექნიკური გამართულობა; | | | | | | | |
| 2. აპლიკანტი ორგანიზაციის გამოცდილება; | | | | | | | |
| 3. შემოთავაზებული პროექტის შესაბამისობა, თანადაფინანსების პროგრამის მიზნებსა და ამოცანებთან; | | | | | | | |
| 4.შემოთავაზებული პროექტის ინოვაციურობა; | | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5.წარმოდგენილი პროექტის ხარჯთეფექტურობა და თანადადაფინანსების წილი განსახორციელებელ პროექტთან მიმართებაში. | | | | | | | |
| 6.პროექტში ჩართული ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის, კომპეტენციისა და გამოცდილების შესაბამისობა პროექტთან; | | | | | | | |
| 7. ბენეფიციართა რაოდენობა. | | | | | | | |
| 8. ორგანიზაციის ტექნიკური პირობები (ფართი, ტრანსპორტი, ტექნიკა და სხვა... შემოთავაზებული პროექტის შესაბამისად). | | | | | | | |
| 9. პროექტის მდგრადობა დაფინანსების დასრულების შემდეგ; | | | | | | | |
| 10.ინფორმაციის გავრცელების შემოთავაზებული გეგმა; | | | | | | | |

კ. საპროექტო განაცხადების შეფასებას სამუშაო ჯგუფის წევრები მოახდენენ ინდივიდუალურად ზემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმების მიხედვით, ინდივიდუალური შეფასების შემდეგ მოხდება მიღებული ქულების საშუალო ქულის დაანგარიშება:
ლ. არ დაფინანსედება პროექტები რომელთა საშუალო ქულა მიიღებს შეფასებას: ცუდი (0 ქულა) და სუსტი (1-2 ქულა);
მ. საპროექტო განაცხადები რომელთა საშუალო ქულა განისაზღვრება შეფასებით: ძალიან კარგი ( 7-8 ქულა) და საუკეთესო (9-10 ქულა) დაფინანსდება სრულად.
ნ. გორის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია, სამუშაო ჯგუფის წევრების რეკომენდაციის შემთხვევაში მოახდინოს წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება 30 %-ით რომლებიც დაიმსახურებს შეფასებას - საშუალო ( 3-4 ქულა), ხოლო 40 % -ით დააფინანსოს პროექტები, რომელთა შეფასება იქნება - კარგი ( 5-6 ქულა).

**11.** თანადაფინანსების პირობები:

ა. თანადაფინანსების მოსაპოვებლად წარმოდგენილი პროექტისათვის მუნიციპალიტეტიდან მოთხოვნილი თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 70 000 ლარს;

ბ. თანადაფინანსების წილი განმცხადებელი ორგანიზაციის მხრიდან არ უნდა იყოს წარმოდგენილი პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 20 %-ზე ნაკლები;

გ. ანაზღაურება მოხდება ორგანიზაციის მიერ სამუშაოს შესრულების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ (მაგ: საბოლოო თხრობითი ანგარიშის, მიღება- ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების, სასაქონლო ზედნადებების და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია)

გ.ა. <u>დასაშვები ხარჯები:</u>

გ.ა.ა. ადმინისტრაციული რგოლის ხელფასები არ უნდა აღემატებოდეს წარმოდგენილი პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 10%-ს;

გ.ა.ბ. მოწვეული ექსპერტების, ტრენერების, ჰონორარი სემინარების, კონსულტაციებისათვის და ა.შ.

გ.ა.გ. ტრანსპორტირების და პროექტის განხორციელებასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა ხარჯები.

გ.ბ. *დაუშვებელი ხარჯები:*

გ.ბ.ა. კომუნიკაციის;

გ.ბ.ბ. ოფისის იჯარა, კომუნალური გადასახადები;

გ.ბ.გ. საქმიანობა, ღონისძიება, რომლებიც უკვე დაფინანსებულია სხვა წყაროდან;

გ.ბ.დ. სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტები (გზების, ხიდების, სკოლების რეაბილიტაცია და ა.შ.);

გ.ბ.ე. პოლიტიკური ან რელიგიური აქტივობები;

გ.ბ.ვ. პროექტები, რომელიც მავნე ზეგავლენას ახდენს გარემოზე.

**12.** დამატებითი ინფორმაცია

ა) განაცხადის ფორმას სავალდებულოა თან ერთვოდეს:

ა.ა) უახლესი ამონაწერი მეწარმეთა რეესტრიდან;

ა.ბ) პროექტის მოსარგებლეთა/ბენეფიციართა რაოდენობა და სია ბენეფიციარის ნებართვით, პირადი ნომერი, საკონტაქტო ინფორმაციით;

ა.გ) პროექტის განმახორციელებელი გუნდის წევრთა CV-ები.

ბ) გორის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილების შესახებ განაცხადის წამრდგენ უფლებამოსილ პირს ეცნობება წერილობით;

გ) თანადაფინანსების მიმღებ ორგანიზაციასთან გაფორმდება ხელშეკრულება.